ქ. თბილისში, ვაკის პარკის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურსის ჩასატარებლად
შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

ქ. თბილისი 12.09.2018 წ.

*სხდომას ესწრებოდნენ:*

**გიორგი პაპავა** – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი.

**გიგა გიგაშვილი** - საკონკურსო კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი.

**თამარ შარაშიძე** - საკონკურსო კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

**გაიოზ თალაკვაძე** - საკონკურსო კომისიის წევრი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

**ვლადიმერ სირაძე** - საკონკურსო კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

**ნელი ღვინეფაძე** - საკონკურსო კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

*აპარატის წევრები:*

**გივი ჭუმბურიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

**ირაკლი მერებაშვილი** – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის საგეგმო-საანგარიშგებო და სავარაუდო ღირებულების დადგენის განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

*სხდომას არ ესწრებოდნენ:*

**ირაკლი ბენდელიანი** – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

**სერგო ბირკაძე** - საკონკურსო კომისიის წევრი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი.

**საბა ფიფია** - საკონკურსო კომისიის წევრი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

**პაატა ტოგონიძე** - საკონკურსო კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

*დღის წესრიგი*

ქ. თბილისში, ვაკის პარკის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის დამტკიცება და საკონკურსო კომისიაში, სათათბირო ხმის უფლებით, კონსულტანტების მოწვევა.

*განიხილეს:*

საკონკურსო დოკუმენტაციის პირობების განხილვისას აზრი გამოთქვეს საკონკურსო კომისიის წევრებმა და მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ კომისიის წევრების მოსაზრებები გათვალიწინებულ იქნას საკონკურსო დოკუმენტაციის პირობებში.

შემდეგ, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი პაპავამ სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 06 სექტემბრის N18-0118249526, 2018 წლის 11 სექტემბრის N18-01182543375 და 2018 წლის 12 სექტემბრის N18-011825570 წერილებისა და კომისიის სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით მომზადებული საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია, რომლის ატვირთვაც დამტკიცების შემდგომ უნდა მოხდეს შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

საკონკურსო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.

შემდგომ, საკონკურსო კომისიის წევრებმა მოისმინეს საკონკურსო კომისიის წევრის გიგა გიგაშვილის გამოსვლა, რომელმაც კომისიას მოახსენა, რომ მიზანშეწონილია კონკურის შესყიდვის პროცედურებში, შერჩევა/შეფასების ეტაპზე სათათბირო ხმის უფლებით, კონსულტანტებად მოწვეულ იქნან: თენგიზ სეფიაშვილი (არქიტექტორი, დამსახურებული მხატვარი, სკულპტორი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, არქიტექტორთა კავშირის წევრი), ლიკა ქურციკიძე (ლანდშაფტის არქიტექტორი), გიული გეგელია (ურბანისტი, არქიტექტორი, აკადემიკოსი, ურბანისტიკის და არქიტექტურის კათედრა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტორთა კავშირის წევრი), ნიკოლოზ ანთიძე (კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის სააგენტოს უფროსი) და სვეტლანა ხმალაძე (დენდროლოგი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი მერქნიანი მცენარეთა მართვის განყოფილების უფროსი, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).

*კომისიამ დაადგინა:*

1. დამტკიცდეს„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანების მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად მომზადებული საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი.
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საკონკურსო კომისიაში, შერჩევა/შეფასების ეტაპზე, სათათბირო ხმის უფლებით, კონსულტანტებად მოწვეულ იქნან: თენგიზ სეფიაშვილი (არქიტექტორი, დამსახურებული მხატვარი, სკულპტორი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, არქიტექტორთა კავშირის წევრი), ლიკა ქურციკიძე (ლანდშაფტის არქიტექტორი), გიული გეგელია (ურბანისტი, არქიტექტორი, აკადემიკოსი, ურბანისტიკის და არქიტექტურის კათედრა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტორთა კავშირის წევრი), ნიკოლოზ ანთიძე (კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის სააგენტოს უფროსი) და სვეტლანა ხმალაძე (დენდროლოგი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი მერქნიანი მცენარეთა მართვის განყოფილების უფროსი, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).
3. მოხდეს საკონკურსო განცხადების განთავსება და საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

*კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი* /გიორგი პაპავა/

*კომისიის წევრი* /გიგა გიგაშვილი/

*კომისიის წევრი* /თამარ შარაშიძე/

*კომისიის წევრი* /გაიოზ თალაკვაძე/

*კომისიის წევრი* /ვლადიმერ სირაძე/

*კომისიის წევრი* /ნელი ღვინეფაძე/

*აპარატის წევრი* /გივი ჭუმბურიძე/

*აპარატის წევრი* /ირაკლი მერებაშვილი/

# *საკონკურსო განცხადება*

- შესყიდვის ტიპი: *კონკურსი*
- კონკურსის გამოცხადების თარიღი:
- წინადადებების მიღების დაწყება:
- წინადადებების მიღების დამთავრების ვადა:
- შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 475 000 ლარი.
- საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს: დღგ–ს გარეშე.
  შესყიდვის ობიექტი და მისი შესაბამისი CPV კოდი: 71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება;

- **შესყიდვის ობიექტის დამატებითი ინფორმაცია:**
- ქ. თბილისში, ვაკის პარკის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

  ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრით წონებს თანაფარდობა 80/20.

- **დაფინანსების წყარო** - 2018-2019 წლების ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით

  2018 წელი - 70%

  2019 წელი - 30%

**შესყიდვის ობიექტის რაოდენობა ან მოცულობა:**

იხ. სატენდერო დოკუმენტაცია.

**შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღე (ექსპერტიზის მომსახურების ვადის ჩათვლით).

ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა: 160 დღე